№ 42

ოთხშაბათი, 24 თებერვალი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 42

ოთხშაბათი, 24 თებერვალი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

### უკანასკნელი წარმოდგენა.

შაბათს, 27 თებერვალს,

**ბენეფისი რეჟისორთა ვ. აბაშიძისა და კ. მესხისა**

ქ-ნ ეფ. მესხის, ნატ. რჩეულისა, ელ. ჩერქეზიშვილისა, ბ-ნ ვ. გუნიასი და მთელის დასის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

I

**სულთა-მხუთავი**

დრამა ხუთ-სურათად თარგმ. დ. მესხის მიერ.

II

პირველად განახლების შემდეგ

**ეხრები**

ფარსი 3 მოქმედ. გადმოკ. თ. სახოკიას და ვ. გუნიას მიერ.

ადგილების ფასი საბენეფისოა. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

ბილეთები ამ თავითვე ისყიდება თეატრის კასსაში.

ქართველ-ქალთა ამხანაგობის

**სახელოსნო-სამკერვალო**

(ბარონის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლებში № 12).

მსურველთ შეუძლიანთ განაცხადონ სურვილი იმისი, რომ პატარა ქალები მიაბარონ სასწავლებლად.

აქვე იღებენ შესაკერად ყოველგვარს ქალის ტანთ-საცმელს.

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასხიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_4—2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ)

## საჭიროა ნოქარი

გამოცდილი და კარგი მცოდნე გასტრონომიულისა და საბაკალეო ვაჭრობისა.

ადრესი: „შუამაგალი“, კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ. მუხრან-ბატონისა. (6—ნ.—6)

ქ. ქუთაისი

**ექიმი ნ. ბ. ჭიჭინაძე**

იღებს ავადმყოფებს

(ლევაშოვის ქუჩაზედ, პეტრე ხარაზოვის სახლში, № 13).

დილის 9—11 და საღამოს 4—6 საათამდის. (—ნ.—11)

## მთავრობის განკარგულებანი

—

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ამა წლის 3 თებერვალს უბოძა ორდენი წმ. ანნასი მესამე ხარისხისა ერთსა და იმავე თანამდებობაში 12 წლის ერთგულ და უმწიკვლო სამსახურისათვის: კავკავის გიმნაზიის მასწავლებელს ტიტ კახიძეს, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწეს დავით ალადაშვილს, ტფილისის საგუბერნიო ხაზინის ბუღალტერს ეგაძეს, ოზურგეთის მომრიგებელ სასამართლოს ბოქაულს ანტონ ღლონტს, ლეჩხუმის მომრიგებელ სასამართლოს მდივნად ნამყოფს ტარიელ გელეჯკორის, იმერეთის საეპარქიო კანცელარიის მდივანს ერასტი თუთბერიძეს, ქუთაისის ოლქის სასამართლოს ნოტარიუსს ანტონ გეგელაშვილს, სიღნაღის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს ივანე ხიმშიაშვილს, ქუთაისის ოლქის სასამართლოს ნოტარიუსს მელქისედეკ ვერულაშვილს; 10 წლის ერთგულ და უმწიკვლო სამსახურისათვის ამიერ-კავკასიაში: ზუგდიდის მაზრის უფროსის თანაშემწეს ირაკლი კალანდარაშვილს, სართიჭალის ბოქაულს დავით ნაცვლიშვილს, შორაპნის მაზრის ჩხარის ბოქაულს ალექსანდრე ჟურულს, რაჭის მაზრის ამბროლაურის ბოქაულს გედევან ქელენტს, ოზურგეთის მაზრის ლანჩხუთის ბოქაულს, მტაბს-კაპიტანს ბესარიონ იოსელიანს, რაჭის მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს, პორუჩიკს თავად გიორგი დადეშქელიანს, თიანეთის მაზრის ფშავ-ხევსურეთის ბოქაულს თავ. იოსებ ჯანდიერს; კავკასიის მსროლელთა ბატალიონის კაპიტანს თავ პლატონ ლორთქიფანიძეს, ყუბანის ყაზახთა ჯარის უმანის 1 რაზმას ესაულს კასიან ნაცვლიშვილს.

დამტკიცებულ იქმნა თანამდებობაზედ ნახიჩევანის ნაწილის ხარჯთ ამკრებ ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ქუთათელაძე.

დანიშნულ იქმნა თავადი გელოვანი—ჯვანშირის ნაწილის მომრიგებელ მოსამართლედ, სალიანის საგამომძიებლო ნაწილის გამგედ.

## ახალი ამბავი

—

* * * 23 თებერვალს ამა 1899 წ. ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკს მოსვლია საკრედიტო კანცელარიისაგან 15 თებერვლის 1899 წლის № 2274 თარიღით დაწერილი ქაღალდი და აუწყებენ, რომ, თანახმად 18 სექტემბერს 1897 წ. № 5968 ბანკის გამგეობის შუამდგომლობისა, ბატონს ფინანსთა მინისტრს შესაძლოდ უცვნია ნება დართოს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკს გირაოდ მიიღოს ბირჯომისა და კოჯორის მამულები და სესხი გასცეს იმავე წესით, რა წესითაც უკვე სესხს იძლევა ბანკი ქალაქის მამულებზედ. ხოლო რაც შეეხება ბანკის შუამდგომლობას, რომ ნება ჰქონდეს აგრეთვე აბასთუმნის მამულების გირაოდ მიღებისაც, საკრედიტო კანცელარია იუწყება, რომ ამის შესახებ ჯერ სამხედრო მინისტრისაგან პასუხი არ მიგვიღიაო და მანამდე ვერაფერს განკარგულებას ვერ მოვახდენთო.

* * * დღეს, 24 თებერვალს, სახალხო კითხვების სადგომში ავჭალის ქუჩაზედ, სცენის მოყვარეთა მიერ სახალხო წარმოდგენა იქმნება გამარ-

## ფელეტონი

—

### დღევანდელი კვერცხი, თუ ხვალინდელი ქათამი?

(დასასრული *)

ყველა ის, რაც წინედ ვთქვით, მიმართულია აღმოსავლეთის საქართველოს თავად-აზნაურობისადმი. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობას, მას ამ შემთხვევაში ბევრად მეტი კეთილი და საშვილი-შვილო საქმის გაკეთება შეუძლიან იმ თანხით, რომელსაც მიიღებს ბანკიდგან. ეს თანხა, როგორც ვიცით, ერთი ხუთად მეტია აქეთურზედ და ადის ნახევარ მილიონამდინ. ამ ფულის სარგებელიც მთელის ოცის წლის განმავლობაში ჰხმარდებოდა სავსებით და მთლიანად სწავლა-განათლების საქმესა და შემდეგშიაც ამას უნდა მოხმარდეს განუყოფელად. ეს ფული უკლებლივ უნდა დაიდოს უკვდავ თანხად, რომლის სარგებელი ყოველ წლივ უნდა ემსახურებოდეს ცოდნის მოფენას. უკეთესი დანიშნულება მას ვერ მიეცემა.

იმერმა თავად-აზნაურობამ არ უნდა დაივიწყოს, რომ ხსენებული თანხის გადადება მთლად მათთვის ბევრად მეტს საჭიროებას შეადგენს, ვიდრე ამერს თავად-აზნაურობისათვის. აქაურებს აქვთ დიდი ბანკი, რომელიც დიდს მოგებას იძლევა სკოლის შესანახად, იქაურების ბანკი-კი, ავის მამინაცვლის წყალობით, წარმოადგენს დალეულს, დაპატარავებულს და გამხდარს საკრედიტო დაწესებულებას, რომლის მცირე მოგება ახლანდელს პროგიმნაზიასაც-კი ვერ ინახავს. აქაურებს აქვთ მილიონად ღირებული ქარვასლა, რომელიც რვა-ცხრა წლის განმავლობაში მთლად გადაიხდის ბანკის ვალსა და თავისს ვეებერთელა შემოსავალს, იმედია, მოახმარებს განათლების საქმესა. იქაურები-კი ამისთანა ქონებას სრულიად მოკლებულნი არიან.

ამის გამო, თუ დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობამ თავისი ბანკიდან მისაღები ფული სავსებით და ხელ-უხლებლად არ გადასდო, როგორც უკვდავი თანხა, განათლების სასარგებლოდ, იგი არამც თუ ვერ მოესწრება თავისს საკუთარს საქალო სასწავლებელს, რომელიც ისე საჭიროა, არამედ თვით ახლანდელი მისი პროგიმნაზიაც გაირიყება, და ამითი დასავლეთი დიდი მანძილით უკან ჩამორჩება აღმოსავლეთს, იმ აღმოსავლეთს, რომელსაც ოცის წლის წინედ აშკარად აჯობა, რადგანაც აქაურის ათი ათასი თუმნის ნაცვლად ნახევარ მილიონი ფული ამოიღო თავისი ღარიბი ჯიბიდგან და დასდო საზოგადო საქმისათვის. მაშინ იმერებზე აცხადდება ძველი თქმულება: წინანი უკანა და უკანანი წინაო.

რათა ამ თანხას, პირდაპირის სარგებლის გარდა, სხვა სიკეთეც მოვატანინოთ, საჭიროა იმითი დაარსდეს ახალი საკრედიტო დაწესებულება ქუთაისში, მაგალითად, სამეურნეო ბანკი, ტფილისის ქართულის სამეურნეო ბანკის მსგავსი. თანხა იმოდენაა, რომ ერთს კი-არა, რამდენსამე ბანკს ეყოფა. ახალის ბანკების დაარსებით ადგილობრივი თავად-აზნაურობა გაიჩენს ახალს წყაროებს იაფის კრედიტისას, შეჰქმნის ახალს სკოლებს თვით-მართველობისას, ახალს ცენტრს ქართულის ცხოვრებისას და ადგილებს გაუჩენს განათლებულს ქართველებს, რომელთაც გული ერჩით საზოგადო სამსახურისათვის.

მაგრამ ეშველება-კი რამე საზოგადოდ ჩვენს გაჭირვებულს თავად-აზნაურობას? ზოგიერთ ვაჟბატონთა აზრით, იგი მთლად და სავსებით დაცემულია, სიკვდილის გზაზედ დგას, პირი სამარისაკენ უქნია და მისი გამობრუნება რაიმე სასწაულით თუ მოხერხდება, თორემ ქვეყნიურნი ძალნი ვერას გააწყობენო. ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ეს აზრი მართალი იყოს. იმისთანა პატარა ერი, როგორიც არის ქართველობა, მხოლოდ მაშინ დაიცავს თავისს არსებობას და უკან არ ჩამორჩება სხვა ერებს წარმატების გზაზედ, როცა ყოველი მისი ნაწილი სალი და მომქმედი იქნება. მარტო ერთს რომელსამე წოდებას ვერ ძალუძს გადაარჩინოს ჩვენი ქვეყანა დაცემას, დაჩაგვრას და მიწასთან გასწორებასა. საჭიროა შეერთებული ძალა ყოველთა წოდებათა. ყოველი ვიწრო დოქტრინა, რომელიც ერის რომელისამე ჯგუფის მსხვერპლად ჰხდის დანარჩენს მისს ნაწილებს, ჩვენთვის სწორედ საწამლავია. მომაკვდინებელი შხამია აგრეთვე გამწვავება ბრძოლისა წოდებათა შორის. ამ გამწვავებას მოჰყვება მომეტებული დაუძლურება ჩვენის ერის ყოველის ნაწილისა, მთელის ჩვენის ქვეყნისა, წაგება საარსო ბრძოლისა და გამარჯვება ჩვენზედ ჩვენის მოცილეებისა, რომელნიც მტკიცედ არიან შეერთებულნი ეროვნულის დროშის ქვეშ და მხნედ იბრძვიან. ჩამოუკიდებელს ქვეყნებში კლასთა და წოდებათა ბრძოლას მოსდევს უფლების და ქონების გადასვლა ერის ერთი ნაწილიდგან იმავე ერის მეორე ნაწილის ხელში, და ქვეყანა ამითი არაფერს არა ჰკარგავს. ჩვენში-კი შინაურის ბრძოლის გამწვავებას მოჰყვება ის სავალალო შედეგი, რომელიც დაემართა ორს მოჩხუბარს მამლაყინწას გურამიშვილის პოემაში. ორნივე მოქანცული მოჩხუბარნი, როგორც მოგეხსენებათ, ქორმა წააწიალა თავისს ბუდეში გადასაყლაპავად.

„ჩვენ ისე მცირენი ვართ რიცხვით, რომ საზარელს კაცის მკვლელსაცკი უნდა ვაპატიოთ და მივანიჭოთ სიცოცხლე“, სთქვა ნახევარ საუკუნის წინედ უნგრეთის გამოჩენილმა

*) იხ. „ივერია“ № 41.

თული. ითამაშებენ ეკ. გაბაშვილის დრამას „ბედი მეხთალთა"-ს.

*** დღეს, 24 თებერვალს, დანიშნულია კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების მორიგი კრება. კრებამ უნდა განიხილოს ბ-ნ სააკოვის მოხსენება ტფილისის გუბერნიაში ერობის დაწესებულებათა შემოღების შესახებ.

*** შაბათს, 20 თებერვალს, სხდომა ჰქონდა კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს. საბჭომ განიხილა პროექტი კავკასიაში სასოფლო სამკურნალო ნაწილის გადაკეთების შესახებ და სხვათა შორის ის აზრი წარმოთქვა, რომ საჭიროა აწ არსებული სასოფლო-სამკურნალო ქსენონები სოფლის სამკურნალოებად იქმნას გადაკეთებული, სადაც 10 ავადმყოფის დასაწვენი ადგილი უნდა იყვეს. ამავე სხდომაზედ საბჭომ დაადგინა შესცვალოს აწ არსებული სოფლის მკურნალთა ჯამაგირი, გაამრავლოს ფერშალთა რიცხვი და სხ.

*** როგორც ვუწყით, მიწად-მოქმედების სამინისტრომ გადასწყვიტა თავად ერისთავის მიერ შეწირულ ოძისის მამულში დააარსოს დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. როგორც იუწყებიან, მიწად მოქმედების მინისტრის რწმუნებულს ბ-ნ მედვედევს დაევალა წარადგინოს სამინისტროში პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა განზრახულ სკოლის შენობისა.

*** ქალაქის სამკურნალო სასანიტარო ინსპექტორის მიერ წარდგენილ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ქალაქის ფარდულებში ამ ჟამად არის მხოლოდ 16 კაცი ყვავილით ავადმყოფი.

*** გუშინ, 23 თებერვალს, საენჟენერო მმართველობამ მიჰმართა ქალაქის გამგეობას და შეატყობინა, რომ ქვაშვეთის ეკლესიის ქონებათა მმართველმა კომისიამ მიჰმართა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესს საქართველოს ექსარხოსს და სთხოვა ნება მოგვეცით ამ ეკლესიის შენობის ერთს მხარეს, ალექსანდრეს ბაღისაკენ, ქვით-კირის კედლის მაგიერად გავმართოთ რკინის მოაჯირი და ავაგოთ საჯვარე, მოაჯირს შესავალი კარი ექმნება, რომელიც იმ დროს დაიკეტება ხოლმე, რა დროსაც ბაღის კარები იკეტება.

რადგანაც საინჟენერო მმართველობას ალექსანდრეს ბაღი იჯარითა აქვს მიცემული ქალაქის თვით-მმართველობისათვის, ამიტომ ამ მმართველობის თანხმობაც იყო საჭირო. საბჭოს კომისიამ ზემოხსენებული თხოვნა შეიწყნარა კიდეც.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მთავრობის განკარგულებით ტფილისში მოხდება ტფილისის გუბერნიის ტყის უფროსების კრება. კრება დაიწყება ხვალ, 25 თებერვალს, სახელმწიფო ქონებათა გამგეობის სადგომში გამგეს თავმჯდომარეობით.

*** ტფილისის სამუსიკო სასწავლებლის დირექციას აზრადა აქვს სასწავლებლისათვის საკუთარი შენობა ააგოს. უკვე შეუძენიათ საჭირო მიწა გრიბოედოვისა და კრუზენშტერნის ქუჩაზედ, ზომით 300 ოთხკ. საჟ., მაგრამ ფული ამ შენობის აგებისათვის, როგორც „ტფ. ფურ."-ი იუწყება, არა აქვს. დირექციას იმედი აქვს, რომ ამ კეთილ საქმეში საზოგადოება ამოუჩენს დახმარებას და შეეწევნას.

*** სამხედრო-საქართველოს გზა უკვე გაწმინდეს თოვლისა და ზვავისაგან. ის მგზავრები, რომელნიც კობში იყვნენ გაჩერებულნი რამდენიმე დღე უგზოობისა გამო, ჩამოვიდნენ ტფილისს.

*** როგორც გომბორიდგან იუწყებიან, იქაც გაუწმენდიათ გზა თოვლისაგან. მიმოსვლა ამ გზაზედ უკვე შეიძლება.

*** ქუთაისის სამაგალითო სასოფლო-სამეურნეო სადგურის გამგეს აგრონომს ტიმოფეევს აზრადა აქვს, როგორც „ტ. ფურ."-ი იუწყება, ქუთაისის მაზრის სხვა ადგილებშიაც გამართოს სამაგალითო მინდვრები.

*** „Пет. Вѣд."-ი იუწყება, რომ მთავრობამ ნება დართო ნოვოროსისკში 15—20 მარტს მოხდეს კრება შავის ზღვის პირის გუბერნიის მევენახეთა და მეღვინეთა. კრების თავმჯდომარედ დანიშნულ იქმნა მიწად-მოქმედების სამინისტროს საგანგებო საქმეთა მოხელე ა. ე. სალომონი, ხოლო საქმის-მწარმოებლად აგრონომი მორევი.

*** „კავკას"-ს სწერენ აბასთუმნიდგან, რომ ზეკარის გადასავალზედ გზა შეკრულია დიდის თოვლისა და ზვავებისაგანაო.

*** „ახ. მიმ."-ს სწერენ ფოთიდგან, რომ 15 თებერვალს ცეცხლი წაეკიდა და სრულიად დაიწვა ხე-ტყის მწარმოებლის ბ ნ დიდიას სახლიო. როგორც ამბობენ, სახლი დაზღვეული იყო, ასე რომ უმთავრესი ზარალი სახლის პატრონს კი არა, მდგმურებს მოუვიდათო.

*** „Рус. Вѣд."-ი იუწყება, რომ მიწად-მოქმედების სამინისტრო წელს კავკასიაში მცოდნე კაცებსა ჰგზავნის იქ სამს ადგილას ჩაის პლანტაციების გასამართავადაო.

*** როგორც გაზეთი „კავკ."-ი იუწყება, მარტში ტფილისს ადგილობრივ მხატვართა სურათების გამოფენა იქმნება გამართული.

*** გაზ. „Сынъ От."-ა იუწყება, რომ კავკასიაში არსდება სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც აზრადა აქვს იმ სამკურნალო წყლების მოწყობასა და გაუმჯობესობას შეუდგეს, რომელიც კერძო კაცების მამულებშია. საზოგადოების წარმომადგენელნი უკვე ჩასულან პეტერბურგში და წარუდგენიათ მთავრობისათვის წესდება დასამტკიცებლად. დამაარსებელთა შორის ყოფილან ოთხი მდიდარი მემამულე, რამდენიმე მკურნალი და ორი ინჟენერი.

*** სოფ. ნებითი-ქრისტიანი, (კავკავის მაზრა). 5 თებერვალს აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. ერთის მოსახლის სახლში არაყსა ჰხდიდენ და რო გაათავეს, ქვაბი გადმოიღეს ბოზალუყით; როცა თავი ახადეს ქვაბს, ოთხის წლის ყმაწვილმა უცაბედად წაიბარბაცა, ჩავარდა ცხელ ბოზალუყში და გაიფუფქა. ვიდრე საბრალო ბავშვი სულს განუტევებდა, მისი სალოდაობით ქვაც კი ატირდებოდა.

აქ სახადი არის მოდებული და შესამჩნევს ზარალს აძლევს მცხოვრებთ.

*** ქალაქ ტფილისის მე-5 საბოქაულო ნაწილის გამგეობის საქმის მწარმოებელი თ. თ. ტურიგოვი დანიშნულ იქმნა ამ ნაწილის ბოქაულის თანაშემწედ.

„** 21 თებერვალს, შუაღამის 12 საათზედ, იარმუკაში მიმავალმა აზნაურმა ი. დ აბაზაძემ, მთვრალმა ჩხუბი აუტეხა სევანოვის მაღაზიის ნოქარს ა. მეთეშვილს და დასჭრა იგი ხანჯლით ზურგში. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს, ხოლო დამნაშავე შეიპყრეს.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა ბრძანება გამოსცა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ქალაქის მე-4 ნაწილის ქუჩები და მოედნები მეტად უსუფთაო მდგომარეობაშია, სახლის-პატრონები არა სწმენდავენ ქუჩებს და პოლიციაც ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევსო. პოლიცმეისტერი ავალებს ამ ნაწილის ბოქაულს დაუყოვნებლივ ზომები მიიღოს ქუჩების დასუფთავება-დაწმენდისათვის.

## ქალაქის საბჭო

22 თებერვალი

მთელი საღამო კრებამ მოანდომა ქალაქის მოურავის გ. გ. ევანგულოვისა და გამგეობის წევრის თავ. ა. მ. არღუთინსკის შორის მომხდარ უთანხმოების შესახებ ლაპარაკს. კრებას თავჯდომარეობდა კ. ნ. რეიტერი, რომელიც საქალაქო დებულების მე-120 მუხლის ძალით საბჭოს თავჯდომარედ არის არჩეული იმ გვარ შემთხვევებისათვის, როცა რამე განსაკუთრებული საგანია განსახილველად და ქალაქის მოურავს არ შეუძლიან თავჯდომარეობა.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რა განხეთქილებაც მოხდა ბ-ნ ევანგულოვსა და თავ. არღუთინსკის შორის. გაზეთებში რაც იყო მოხსენებული, მეტი არც საბჭოს კრებას გაუგია, რადგან გამგეობის მოხსენება ამ საგნის შესახებ არ წაკითხულა კრებაზედ, თუმცა-კი რამდენმამე ხმოსანმა მოითხოვა, რომ დაწვრილებითი ისტორია ამ განხეთქილებისა მოხსენებოდა საბჭოს. ქალაქის მოურავმა გ. გ. ევანგულოვმა ითხოვა, რომ ამ საქმის განხილვა მიანდოს საბჭომ განსაკუთრებულს კომისიასო. მე თუ ამოვჩნდები დამნაშავეო, სთქვა ბ-ნმა ევანგულოვმა, სამსახურს თავს დავანებებ, რადგან ალბად არ შემძლებია ამ თანამდებობის აღსრულებაო; კაცი, შეიძლება, ერთს საქმეში ყოჩაღი იყვეს და სარგებლობაც მოჰქონდეს, მაგრამ მეორეში-კი არ გამოდგეს და ეს სრულიად საძრახისიც არ არისო; ხოლო თუ სხვა რაიმე გარემოება აღმოჩნდება ამ განხეთქილების მიზეზად, ის უნდა იქმნას თავიდგან აშორებულიო. თავ. ა. მ. არღუთინსკიმ სთქვა, რომ მე თანახმა ვარ, ვინც უნდა გაარჩიოს, გამგეობამ, გარეშე კაცებმა, საბჭომ, თუ საბჭოს განსაკუთრებულმა კომისიამ, მხოლოდ საქმე სავსებით უნდა იქმნას განხილული და არა მარტო ერთი შემთხვევა, როგორც ბ-ნ ქალაქის მოურავსა ჰსურსო. ის შემთხვევა, რომლის შესახებაც ბ-ნმა მოურავმა საქმე აღძრა, მრავალთა შორის ერთია, რადგან ბ-ნ მოურავის წყალობით განუწყვეტელი უსიამოვნება არსებობდა იმასა და გამგეობის წევრთა შორისო.

ზოგიერთი ხმოსნები, განსაკუთრებით ა. ი. მიტკევიჩი და ა. ბ. ევანგულოვი, წინააღმდეგნი იყვნენ კომისიის არჩევისა და ამტკიცებდნენ, რომ უთუოდ საბჭომ უნდა განიხილოს ეს საქმეო. თავ. გ. მ. თუმანოვმა ის აზრი გამოთქვა, რომ არა ღირს მთელი საღამო დავკარგოთ ამ ყოვლად უმნიშვნელო საქმისათვის, რომელიც არავითარ ბოროტ-მოქმედებას არ შეიცავს არავის მხრივო. არ. ს. ბაბოვი, გ. ა. ქორჩიანცი და გ. ვ. ლუნკევიჩი ამტკიცებდნენ, რომ ეს უთანხმოება ბ ნთ მოურავსა და გამგეობის წევრთა შორის იმისი

პატრიოტმა სეჩენიმ, რომელიც სხვა მამულიშვილებთან ერთად ყოველ ღონის ძიებას ხმარობდა, რომ ერთი დროშის ქვეშ შეეერთებინა ყველა კლასი, ყველა წოდება თავისი ქვეყნისა და საერთო ძალით ებრძოლნათ სამშობლოს დაცვისა დ მომავლისათვის. და რა შედეგი მოჰყვა ამ ფართო ეროვნულს მიმართულებას, ამის პასუხს იძლევა ახლა გაძლიერებული, აყვავებული და იმედით სავსე უნგრეთი. ჩვენში-კი მზად არიან ერთის კალმის მოსმით გააუქმონ მთელი წოდება, გაანახევრონ ჩვენი ქვეყანა, უიმისოდაც პატარა, და ადვილად გადასაყლაპავ ლუკმად გაქდააქციონ. ჰკუის გამჭრიახობაც ამასა ჰქვიან.

მაგრამ საქმე იმაშია, რომელი დროშის, რომელი ბაირაღის ქვეშ უნდა მოხდეს ეს ეროვნული შეერთება ქართველ წოდებათა? რასაკვირველია, ამ დროშად უნდა გახდეს პრინციპი შრომისა, რომლის გარეშე ჩვენს დროში არც ერთს წოდებას სიცოცხლე და წარმატება არ შეუძლიან. მაგრამ განა შესაძლებელია ესა? არამც თუ შესაძლებელია, ნამდვილ ფაქტსაც შეადგენს არამც თუ ახლა, არამედ კაი ხანია.

ყველას კარგა მოეხსენება, რომ ჩვენებური მაღალი წოდება შესდგება თავადებისა და აზნაურებისაგან. ამასთან აზნაურობა ერთი ათად და ოცად მეტია თავადობაზედ. რითი სცხოვრობს ეხლა ჩვენი აზნაურობა? უმეტეს ნაწილად თავისი მარჯვენით, თავისი ოფლით. აზნაურები ჩვენში თავისი ხელით ჰხვნენ, ჰფარცხვენ, სთესენ, ჰმკიან, ჰლეწვენ, უვლიან ვენახებს და აკეთებენ ყოველს სამეურნეო საქმეს. ისინი გლეხებს ჯაფასა და შრომაში სრულიადაც არ დაუვარდებიან. ქალაქებშიაც ბოლოს წლებში დღითი-დღე მრავლდება რიცხვი ქართველის ხელოსნებისა, დაბალ ტეხნიკოსებისა, ვაჭრებისა. რომელ წოდებას ეკუთვნიან ესენი? იმავე აზნაურთა წოდებას—უმეტესად. ჩვენს დროში აზნაურები მხოლოდ იმითი გაირჩევიან გლეხებისაგან, რომ თავისს ადამიანურს ღირსებას უკეთ იცავენ. ასე რომ ჭეშმარიტებას იოტისოდენადაც არ ვუღალატებთ, თუ ვიტყვით, რომ ჩვენი მრავალ-რიცხოვანი აზნაურობა წარმოადგენს არა ნაკლებს საღს წოდებას, ვიდრე გლეხობა.

სამწუხაროდ, თავადობაზედ საზოგადოდ ეს არ ითქმის. უმეტეს ნაწილად იგი სრულიად მოშორებულია შრომის პრინციპს, ცხოვრობს ფეოდალურ ტრადიციებით და გაბატონების გზას ადგია. მეტადრე მსხვილი თავადიშვილობა მოგაგონებთ იმ ბურბონებსა, რომელთაც ვერაფერი ვერ დაივიწყეს, ვერაფერი ვერ ისწავლეს, დარჩნენ ძველის პრინციპების ნაფლეთების ამარა და თავი დაიღუპეს. ჩვენი მსხვილი თავადობა, ზოგიერთის გარდა, თვითონ არაფერს აკეთებს, ცხოვრება-კი მდიდრული უყვარს. ამის გამო მამა-პაპეული თანხა—დედულ-მამული, თან და თან ხელიდგან ეცლება და შორს არ არის ის დრო, როდესაც სრულიად ცარიელი დაჯდება თავისის მიწა-წყლისაგან. იმოდენა უნარიც კი ვერ გამოუჩენიათ, რომ ეს მიწა-წყალი იმათთვის მიეყიდნათ, ვისიც მამა-პაპა მრავალი საუკუნოების განმავლობაში ზედ აკვდებოდა აურებელს მტერს ამ მიწა-წყლის დასაცველად. ეს მიწა-წყალი, ჩვენდა სავალალოდ, გადადის სრულად უცხო კაცთა ხელში და საუკუნოდ ეკარგება ჩვენს სამშობლოს.

უბედურება ამითი არა თავდება. ამ დამჭკნარს და გამხმარს ტოტებს ჩვენის ერისას, მათი სიმაღლის გამო, ყველა ჰხედავს, საღი დაბალი ტოტები, საღი ტანი და ფესვები კი თვალში არავის არ ეჩხირება, ამითი სარგებლობენ ჩვენნი მტერნი, ცრუ მეგობრები. ამ სახით ეს მაღალი გამხმარი ტოტები მთელს ერს უტეხენ სახელს, მომაკვდავათ გამოჰყავთ და ყვავ-ყორანს აჩხავლებენ ანდერძ ასაგებ კილოზედ. ამიტომ სრულს ჭეშმარიტებას ჰღაღადებს ერთი ჩვენი სახელოვანი მწერალი, ჩამომავლობით დიდი ფეოდალი, მიმართულებით კი ეროვნული დემოკრატი, როდესაც ამბობს: რაც უფრო ადრე გადაჰკაფავს ცხოვრების ჩარხი ამ გამხმარს ტოტებს, მით უფრო სარგო იქნება ჩვენის ქვეყნისთვისაო.

ჩვენდა სანუგეშოდ საქართველოში გაყვითლებულ-გამხმარ ფეოდალების რიცხვი მცირეა, და მათი გამოკლება ცოცხალ ქართველთ რიცხვიდგან დიდს ზიანს არ შეადგენს ქვეყნისათვის, თუ სხვა წოდებანი აღიჭურვებიან ჭეშმარიტის განათლებით, შეერთდებიან ძმურად შრომის დროშის ქვეშ და მტკიცედ დაადგებიან პროგრესის გზასა.

დასასრულ ერთს წამს კიდევ დავუბრუნდეთ პირდაპირს საკითხს. ამ საკითხს ორი მხარე აქვს: უცვლელი და ცვალებითი. უცვლელი ის არის, რომ თბილისისა და ქუთაისის საზნაურო ბანკების დამფუძნებელთ არას გზით არ უნდა გამოსწირონ მისალები ფული იმ წმინდა და საშვილიშვილო საქმეს, რომელსაც აქამომდე ხმარდებოდა მისი სარგებელი მთელის ოცის წლის განმავლობაში: სწავლას და აღზრდას მოზარდის თაობისას—ვაჟების და ქალებისას. ეს დანიშნულება უნდა იყოს სამუდამო, შეურყეველი; ფული უნდა გადიდოს უკვდავ თანხად და იხმარებოდეს მხოლოდ მისი სარგებელი. რაც შეეხება მას, თუ როგორ ასარგებლონ ეს თანხა, რა გვარს სწავლას მოახმარონ მისი სარგებელი, ან რომელს შტოს განათლებისას მისცენ უპირატესობა, ეს ცვალებითი მხარეა საქმისა და უნდა წყდებოდეს სხვა-და-სხვა დროის მოთხოვნილებათა შესაბამად.—

იაკობ გოგებაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრალია, რომ გამგეობას ინსტრუქცია არა აქვსო; ამიტომ ატეხილ უთანხმოების შესახებ საბჭომ მოსპოს საქმე და გამგეობას დაავალოს, დაუჩქაროს ინსტრუქციის შემუშავებასაო.

ხანგრძლივის კამათის შემდეგ საბჭომ უარ-ჰყო ბ-ნ გ. გ. ევანგულოვის წინადადება კომისიის არჩევის შესახებ. მაშინ ბ-ნმა მოურავმა გ. გ. ევანგულოვმა განაცხადა, რომ ჩემთვის ეს საქმე გაათავებულიაო. თავმჯდომარემ რამდენისამე წუთით კრება შესწყვიტა. კრების განახლებისათანავე, ა. ს. ბაბოვისა და მ. ვ. ლუნკევიჩის წინადადებით საბჭომ დაადგინა:

ცნობილ იქმნა-რა, რომ ის უსიამოვნება, რომელიც მოხდა ქალაქის მოურავის გ. გ. ევანგულოვის და გამგეობის წევრის თავად ა. მ. არღუთინსკს შორის, ნაყოფია ინსტრუქციის უქონლობისა, ამასთანავე დაერწმუნა-რა საბჭო თავ. არღუთინსკის, რომ მას არ წარმოუთქვამს სიტყვა „პირუთვნელად“ და ენდობა-რა როგორც ქალაქის მოურავს, ისე გამგეობის წევრს თავად არღუთინსკის, საბჭომ საჭიროდ დაინახა შეუდგეს მორიგ საქმეების განხილვას და სასურველად სცნოს, რომ შეძლებისამებრ ინსტრუქცია ჩქარა იქმნას შემუშავებული.

## ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის პირველ რიგის მსესხებელთა კრება 35-ის წარმომადგენლის ამოსარჩევად.

21 თებერვალი.

კრება დაიწყო სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში 12 საათზე. თავმჯდომარეობს ზედამხედველის კომიტეტის წევრი ბ-ნი მოსე ათანასეს ძე ქიქოძე. ბანკის დარბაზში სიჩუმე—სიწყნარეა. პირველ რიგის 41 მსესხებელთაგან გამოცხადდა მხოლოდ 24. რადგან პირველ რიგის ამომრჩეველთა შორის არ იყო საკმაო რიცხვი კანდიდატებისა, ისინი დაასახელეს მეორე რიგის მსესხებელთაგან. გარეშე მაყურებელი დარბაზში არავინ შემოუშვეს, გარდა გაზეთების ოთხის წარმომადგენლისა, რომელთათვისაც თვალ-საჩინო ადგილზედ იდგა საწერი სტოლი, სტოლზედ მომზადებული იყო საწერელკალამი და ქაღალდი. თავმჯდომარემ მიულოცა ამომრჩევლებს ის გარემოება, რომ დღეიდგან მთავრობამ ნება დართო ბანკის წევრთ ოთხი-ხუთის წლით შეჩერებული საქმეები ბანკისა თითონ საზოგადოებამვე აწარმოვოს თავისის წარმომადგენელთა საშუალებით და გააგებინა საზოგადოებას საგანი დღევანდელის კრებისა. მოკლე სიტყვაში მოაგონა ის მიზეზები, რომელთაც გამოიწვიეს ბანკის მმართვაში უწესოება, ბანკის მდგომარეობის უკან დაწევა, დაქვეითება და ამის გამო საზოგადოებაში დრტვინვა და საყვედური. ყველა ეს გამოწვეული იყო იმ სამწუხარო გარემოებით, რომ საზოგადოების ზოგიერთნი წევრნი გატაცებულნი იყვნენ, და იქნება ეხლაც არიან, უმეცარის თავმოყვარეობით, ანგარებით, სიცრუით და განდიდების სურვილით, რომ იმათთვის არ არსებობს დიდმნიშვნელობიანი და მადლიანი სიტყვები: „ჩვენ“, „საზოგადო ინტერესი“, იმათ თავიანთი „მე“ გაუდიდებიათ, გაუღმერთებიათ და ერთგულად და თავგამოდებით ემსახურებიან იმას. ეს გარემოება დამღუპველი და მეტის-მეტად უკან დამწევია ჩვენის ქვეყნის ბედისა; ამიტომაც თქვენი წმინდა და საღმრთო მოვალეობაა, აირჩიოთ თქვენს წარმომადგენლად ისეთნი კაცნი, რომელნიც გამსჭვალულნი არიან შრომის მოყვარეობით, სიმართლით, კეთილშობილურის მიმართულებით და საზოგადოების და მისის ინტერესების სიყვარულით; გარწმუნებთ, რომ, თუ ბანკის სათავეში არა გვყვანან ასეთი კაცები, როგორი წესდებაც უნდა დაგვიდგინონ, დაღუპვისაგან ვერაფერი გვიხსნისო“. მაგრამ, ეს დარიგება დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. ბევრი ამომრჩეველი ხელმძღვანელობდა მარტო იმ აზრით, თუ დასახელებული კანდიდატი ვისი მომხრეაო: გამგეობისა თუ მოწინააღმდეგე დასისა.

კენჭის დათვლის შემდეგ, აღმოჩნდა შემდეგი. წარმომადგენლებად ამორჩეულნი არიან:

| | თეთრი | შავი |
|---|---|---|
| შგ. თ. დ. დადიანი . . | 22 | 1 |
| ერისთავი ნესტორ დავ. ძე | 21 | 3 |
| აგიაშვილი გიორგი სტ. ძე . | 20 | 3 |
| მდივანი ონისიმე . . . | 19 | 5 |
| ანდრონიკოვი ივანე გ. ძე . | 17 | 6 |
| ჯაიანი ივანე პეტრეს ძე . | 17 | 6 |
| კიკნაძე სოლომონ . . . | 17 | 7 |
| უაზაროვი აბელ . . . . | 17 | 6 |
| აბდუშელიშვილი ალექ. დ. ძე | 17 | 7 |
| წერეთელი გიორგი ექვ. ძე | 17 | 7 |
| ლორთქიფანიძე დავით არჩ. ძე | 16 | 8 |
| ქუთათელაძე მიხეილ ნიკ. ძე | 16 | 8 |
| ჩიკვაიძე კალისტ. ნიკ. ძე . | 17 | 7 |
| კიზირია გიორგი ხახულ. ძე | 16 | 7 |
| რაფაელოვი ნიკოლოზ . . | 16 | 7 |
| ბოკერია დიმიტრი . . . | 16 | 7 |
| მჭედლოვი ლევან . . . | 15 | 9 |
| საყვარელიძე ალ. სიმ. ძე . | 15 | 9 |
| ჯალალოვი ივანე გრ. ძე . | 13 | 11 |
| ალიბეგოვი . . . . . | 15 | 8 |
| ეზიკოვ ალოიზ . . . | 16 | 7 |
| ჩხეიძე კონსტან. ალექ. ძე. | 15 | 8 |
| მურადოვი არტემ . . . | 15 | 8 |
| ჯორჯიკია სპირიდ. ბეს. ძე | 16 | 8 |
| მამაჯანოვი იოსებ . . . | 15 | 9 |
| ლოლუა ლუარს. თეიმ. ძე . | 15 | 9 |
| კემულარია გრიგ. იოსებ. ძე | 14 | 10 |
| გაბუნია ბესარიონ . . | 15 | 9 |
| ქიქოძე მოსე ათან. ძე . | 13 | 10 |
| ბაინდუროვი ი. ს. . . | 13 | 10 |
| ცაგერეიშვილი გაბრ. პეტ. ძე | 14 | 10 |
| დარახველიძე მიხ. ერას. ძე | 12 | 11 |
| ადანაია კაცია . . . . | 16 | 8 |
| ხეჩინოვი ლევან . . . . | 12 | 11 |
| თუმანიშვილი პავლე ალ. ძე | 12 | 11 |
| გაშავ-კენჭებულ იქმნენ: | | |
| ლორთქიფანიძე სიმ. ნიკ. ძე | 11 | 13 |
| ბაქრაძე კონსტ. დიმიტ. ძე | 11 | 13 |
| მაჭავარიანი კონსტ. დავ. ძე | 11 | 13 |
| ელიავა გრიგოლ . . . | 11 | 13 |
| ტატიშვილი გრიგოლ . . | 11 | 13 |
| ჭეიშვილი სიმონ . . . | 10 | 13 |
| ჩიმაკაძე იაკობ გიორ. ძე . | 10 | 13 |
| სანებლიძე იოსებ თად. ძე | 10 | 13 |
| დუმბაძე ივანე ანტონის ძე | 10 | 14 |
| ქიქოძე მიხეილ ათანას. ძე | 10 | 14 |
| ნიჟარაძე კონსტ. დავ. ძე . | 10 | 14 |
| ლორთქიფანიძე მერაბ გ. ძე | 10 | 14 |
| ერისთავი გიორგი დავ. ძე | 10 | 14 |
| გუგუშვილი დავით . . . | 10 | 14 |
| გაბაშვილი პიმენ . . . | 9 | 15 |
| ჭყონია ალექსანდრე მარ. ძე | 8 | 16 |
| ლოლაძე შამშე . . . . | 8 | 16 |
| ქორქაშვილი ვასილ ლევ. ძე | 8 | 16 |
| მელმან . . . . . . | 8 | 16 |
| ქორქაშვილი მიხ. ლევ. ძე. | 8 | 16 |
| ბახტაძე დიმიტრი . . . | 7 | 17 |
| მოსეშვილი ბართლომე. . | 7 | 17 |
| ჭილიაევი ალექსი . . . | 7 | 17 |
| ზდანოვიჩ გიორგი . . | 8 | 15 |
| წერეთელი სოლომონ . . | 7 | 17 |
| ქიქოძე გრიგოლ ივან. ძე. | 8 | 16 |
| ჯიქია სოლომონ . . . | 7 | 17 |
| ასათიანი ალექსი . . . | 6 | 18 |
| ლეჟავა სპირიდონ . . . | 6 | 18 |
| ქურციკიძე ანტონ პეტ. ძე. | 4 | 20 |
| კანდიდატებად არჩეულნი არიან: | | |
| გაბაშვილი პიმენ . . . | 17 | 6 |
| ნიჟარაძე კონსტანტინე . . | 20 | 3 |
| ელიავა გრიგოლ . . . | 17 | 6 |
| გუგუშვილი დავით . . . | 17 | 6 |
| ტატიშვილი გრიგოლ . . | 16 | 7 |

კრება გათავდა საღამოს 4 საათზე. მეორე რიგის ამომრჩეველთა კრება დანიშნულია 23 თებერვალს.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. შროშა,** (შორაპნის მაზრა). ამ სოფელში 400 კომლამდე მცხოვრებია. აქ მხოლოდ ერთი პირველ დაწყებითი სამრევლო სკოლაა და იმაშიაც იმდენი ბავშვი არ დადის, რამდენიც სოფლის სიდიდეს შეეფერება. ამის მიზეზი, სხვათა შორის, ის გახლავთ, რომ შროშა, როგორც მთაგორიანი სოფელი, განიყოფება რამდენსამე ნაწილად, რომლებიც დაშორებულია ერთი მეორესაგან, და ამ სიშორისა გამო უძნელდებათ ბავშვებს სკოლაში სიარული. ამოდენა სოფეში სამი სკოლა უნდა არსებობდეს და, როგორც ჰხედავთ, ერთიც ვერ არის დაყენებული მკვიდრს ნიადაგზედ.

შროშაში შორს აქვს გადგმული ფესვი ცრუ-მორწმუნეობას და ამის მეოხებით თავისუფლად დათარეშობენ სოფლის მატყუარა მკითხავები და ექიმბაშები. აქ ჭკუაზედ შეიშალა ერთი გლეხი, გვარად კოპაძე, 24—25 წლის ვაჟკაცი. საბრალოს მშობლები გაჭირვებაში ჩავარდნენ: ზოგი მკითხავი ეუბნებოდა,—ამა და ამ ხატის ბრალიაო და ზვარაკს გთხოვსო, ზოგი-შეშინებულია და გამოლოცვის მეტი საჭირო არ არისო. ამ რიგად თუ რამე ებადა ამ კაცს, მკითხავებმა და გამომლოცავებმა გამოსცინცლეს. ბოლოს ვიღაცას ესწავლებინა, რომ ს. მუხურაში (რომელიც მდებარეობს შროშიდგან დაახლოვებით 40 ვერსის მანძილზედ) არის ერთი ექიმი, გვარად ა—მე, ის გადარეულებს არჩენს და გიჟები ჭკუაზედ მოჰყავსო. ავადმყოფის მშობლებმა მაშინვე მიჰმართეს ამ გამოჩენილს ექიმს და არ დაიზოგეს თავი, რომ ეს უკანასკნელი საშუალებაც ეხმარათ.

ავადმყოფის ძმა წავიდა ამ ექიმის მოსაყვანად. ექიმი, დიდის ვაჭრობის შემდეგ, დასეჯერებოდა ხუთ მანეთს ფეხის ქირად. იმ დროს მეც ჩავედი იმ ავადმყოფის სანახავად. როდესაც ვკითხე, შეგიძლიანთ, თუ არა ამის მორჩენა-მეთქი?—მიპასუხა: ეს „ავადმყოფი ძალიან ადვილი მოსარჩენია“. მერე მიჰყო ხელი თავისს ექიმობას: დაიწყო თავისებურად ლოცვა, ლოცვის შემდეგ ამოიღო ჯიბიდგან რამდენიმე ქვის ნატეხი, სხვა-და სხვა ფერისა, და დაუწყო მათ წყალში ლესვა. ეს ნალესი წყალი ასვა ავადმყოფს; თითქმის ორ ბოთლამდის დაალევინა და მერე ცხვარ წინ აუბოლა გოგირდი და რაღაც ერთ გვარი ბალახი. ვკითხე: „ნუ თუ მაგ ნალესის წყალს შეუძლიან გაგიჟებულის კაცის მორჩენა მეთქი“? „ამაღამ დავრჩები აქ და შიგ რომ ბოროტი სული ჰყავს, ის უნდა შევაშინო და გამოვაგდოო“. გამიკვირდა იმისი პასუხი, მაგრამ იმან მაინც განაგრძო: „ხან უნდა დავჰკიდო, ხან უნდა შევსხა და ბოროტი სული დავუხსნაო“. წამოვედი და მას შემდეგ ეს ექიმი არ მინახავს, მაგრამ იმას კი თვალს ვადევნებდი, როგორ იმოქმედებდა მისი წამლობა ავადმყოფზე. დღესაც ის ავადმყოფი იმ მდგომარეობაშია და ის ექიმი კი ფულს სცინცლავს იმისს გაჭირვებულს პატრონს.

ბოსლეველი დათიკო

# რუსეთი

—

როგორც „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტს შეუმუშავებია ახალი კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც თუ ქარხანასა ან ფაბრიკაში მუშა დაშავდა კანონის წინაშე პასუხის მგებელი იქმნება ქარხნის ან ფაბრიკის პატრონი. ამ კანონ-პროექტს ახლო მომავალში წარუდგენენ სახელმწიფო საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

— ციმბირის ვაჭრებს, გაზეთების სიტყვით, შუამდგომლობა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ დასავლეთ ციმბირის ერთ-ერთ ქალაქში გამართულ იქმნას სრულიად ციმბირის გამოფენა.

— სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, ამ ახლო მომავალში სახელმწიფო საბჭოს წარედგინება კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ ველოსიპედს გარდასახადი დაედოს. თითო ველოსიპედს დაედება 7 მანეთი გარდასახადი. რათა ველოსიპედის პატრონს ერთის ქალაქიდგან მეორე ქალაქში წასვლის დროს ორგან არ გარდახდეს ფული, დაწესებული იქმნება, რომ ახალს ქალაქში გარდასახადი გარდახდეს იმ შემთხვევაში, თუ ველოსიპედის პატრონი იქ სამს თვეზედ ნაკლებს არ დაჰყოფს და ამ ხნის განმავლობაში ისარგებლებს ველოსიპედით.

— სასულიერო უწყებაში, „Рус. Вѣд.“-ს სიტყვით, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სავალდებულო გაჰხადონ ყველა ეპარქიისათვის დაარსებულ იქმნას სამღვდელოებისათვის საემერიტო კასსები.

# უცხოეთი

—

**ინგლისი.** პარლამენტის დეპუტატებს დაურიგდათ პროექტი სამხედრო უწყების ხარჯთ-აღრიცხვისა. ამ პროექტით მოსალოდნელი ხარჯია 20,978,200 გირ. სტერლინგი. ამოდენა ფული ყირიმის ომის შემდეგ არასოდეს არ დაჰხარჯვია თურმე ინგლისს სამხედრო საჭიროებისათვის. შარშანს აქეთ სამხედრო ხარჯს მოჰმატებია 1,396,700 გირ. სტერლინგი და ეს ციფრი პირველი მაგალითია ნილოსის ხეობაზედ პირველად გალაშქრების შემდეგ.

**ავსტრია.** ჩეხურ გაზეთების სიტყვით, ჩეხის სეიმი შეიკრიბება 10 მარტს. გრაფი ტუნი ულეველად დონისძიებას ხმარობს, რომ სეიმის კრებებს დაესწრონ გერმანელი დეპუტატებიც, რადგან იმედოვნებს, რომ, შეიძლება, ეხლა მოხერხდეს ჩეხებისა და გერმანელების შერიგებაო. თუმც ეს იმედები გაუცრუვდა გრაფ ტუნს, ე. ი. სეიმზედ თუ ვერ შერიგდნენ ჩეხები და გერმანელები, შემოდგომის დამდეგში მოუწოდებს პარლამენტს, რომელსაც წარუდგენს განსახილველად სახელმწიფო საქმეებს. მაგრამ ეს უკანასკნელი ცდა იქნება; ეხლაც თუ უნიჭობა გამოიჩინა პარლამენტმა თავისის ვალდებულების შესრულებაში, იგი უთუოდ დათხოვნილ იქმნება და მთავრობა ახალს არჩევნებს დანიშნავს.

—

**ოსმალეთი.** ხონთქარს ბრძანება გაუცია, რომ მაკედონიის ქრისტიანებმა, ბოლგარებმა, ბერძნებმა, სერბებმა და სხ. იარაღი არ ატარონ. ბრძანებაში შემდეგ მოხსენებულია, რომ გაფაციცებით თვალ-ყური ადევნონ ქრისტიანეთა სასულიერო წოდებას და სკოლების მასწავლებლებს. ყველა ეს ღონისძიება იმიტომ არის მიღებული, რომ ოსმალეთის მთავრობას ძლიერ ეშინია არეულობა არ მოხდეს მაკედონიაში.

—

**ესპანია.** სენატის მიერ არჩეულმა კომისიამ ჩვენება ჩამოართვა ადმირალს სერვერას. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ სანტ-იაგოში ესპანიის ესკადრის დაღუპვის ბრალი მთავრობას ედება და სხვას არავის, რადგან, ჩემი სურვილის წინააღმდეგ და მთავრობის განკარგულების თანახმად, დავსტოვე ნავთსადგური და ანტილის წყლებში წავედი დავაპირე. შემდეგ სერვერამ სთქვა, რომ სანტ-იაგოში მშვიდობიანად მისვლა მომილოცეს დეპეშით სენატმა და პალატამ; მე იმ მოლოცვის დეპეშას რომ ვკითხულობდი, ცრემლები მდიოდა, რადგან მაშინვე კარგად ვხედავდი, რაც შემდეგ მოხდა.

## სასამართლოს მატიანე

საქმე თთ. ტუსიშვილისა, ბარათაშვილისა და აზნაურთ ოსიტაშვილისა და ტერ-შმოვანოვისა, რომელთაც ჰბრალდებათ აზნაურის გაბაშვილის მოკვლა.

იმავე დღეს სასამართლოში წაკითხულ იქმნა საბრალმდებლო ოქმი, რომლის შინაარსიც შემდეგია:

3 ოქტომბერს 1898 წელს, საღამოს ასე 10 საათზედ, ვერაზე, ჯვართან მოკლულ იქმნა აზნაური დავით გაბაშვილი. მკურნალებმა გასინჯეს მოკლულის გვამი და აღმოჩნდა, რომ სამი ჭრილობა ჰქონდა—ორი მარცხენა ფეხში, და ერთიც თავში. გამოძიებამ აღმოაჩინა შემდეგი.—საღამოს ასე, ათ საათზედ აზნაური გაბაშვილი მიდიოდა თავისის მამულიდგან ქალაქში. თან ახლდა დურგალი ლაცაბიძე. ჯვართან გაბაშვილს დაეწია ორი ეტლი. ერთ ეტლიდგან დაიძახეს—„ხაზარდათ“. გაბაშვილმა უპასუხა: „გზა აგერ არის და გაიარეთ“. შემდეგ ეტლიდგან გადმოვიდნენ შიგ მსხდომნი და ერთმა მათგანმა, რომელსაც შავი ჩოხა ეცვა, ლაცაბიძეს მუშტი შემოჰკრა, მეორე კი მივარდა ხანჯლით. ლაცაბიძე გაიქცა და ამ დროს თვალი მოჰკრა, რომ გაბაშვილს შემოეხვივნენ ეტლიდგან გადმომხტარნი. ლაცაბიძე შინ მივიდა, ყოველივე ეს შეატყობინა თავისს ძმას და მერე ორთავენი მივიდნენ ჯვართან და ნახეს დაჭრილი, ჯერ ისევ

ცოცხალი გაბაშვილი. ვიდრე პოლიციელს მოიყვანდნენ, გაბაშვილი გარდაიცვალა. იმავე ღამეს პოლიციამ შეიტყო, რომ გაბაშვილს თავს დაეცნენ თავ. შიხი ტუსიშვილი და ვლადიმირ ბარათაშვილი, აზნ. გიორგი ოსიტოვი და ტფილისის მცხოვრები ალექსანდრე ტერ-შმოვანოვი, რომლებიც იმ საღამოს „ერმიტაჟის" ბაღში ქეიფობდნენ და იქიდგან ერთის ეტლით წამოვიდნენ და თან წამოიყვანეს ერთი ქალი, ნადეჟდა ლორენცოვისა. მეეტლემ აბდერმანოვმა, რომლის ეტლი ცალიერი მიდიოდა, სთქვა, რომ როცა პირველი ეტლი დაეწია გაბაშვილს, ორში ერთმა დაიძახა „აჯანო", ეტლში მსხდომმა თავ. ტუსიშვილმა და სხვებმა გინება დაუწყეს, იმათგანაც ერთმა შეაგინა. მაშინ ეტლში მსხდომნი გადმოხტნენ და ეცნენ გაბაშვილს. აბდერმანოვი ამბობს, კარგად მახსოვს, რომ წითელ ჩოხიანმა კაცმა თავში დაჰკრა გაბაშვილსაო. ისიც დავინახე, რომ გაბაშვილს ხანჯალი არ ამოუღიაო. იგივე სთქვა მეორე მეეტლემაც, რომელმაც გაბაშვილის დაჭრის შემდეგ მიხეილის ქუჩაზე წაიყვანა ქალი და ორი კაცი. შემდეგ საბრალმდებლო ოქმში ჩაწერილია ჩვენება ბრალდებულთა.

საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ სასამართლო შეუდგა მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევას. ბრალმდებლისა და ვექილების სიტყვები გადიდო 23 თებერვლისთვის.

23 თებერვალს, სამშაბათს, სასამართლო ბრალმდებელისა და ვექილების სიტყვების მოსმენას შეუდგა. ვექილების ლაპარაკის შემდეგ ბრალმდებელმა კვლავ საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა და ვექილებმა სამაგიერო პასუხი მისცეს. ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზედ სასამართლოს თავმჯდომარე შეეკითხა უკანასკნელად ბრალდებულთ. თავ. ტუსიშვილმა განაცხადა, რომ არაფერი მახსოვსო. თავ. ბარათაშვილმა განაცხადა, რომ ტუსიშვილი, კარგად მახსოვს, გადმოვიდა ეტლიდგან, მონაწილეობას იღებდა ჩხუბში, მაგრამ არ ვიცი, ხანჯალი ამოიღო თუ არა და იმასაც ვერ ვიტყვით, რომ იმას მოეკლას გაბაშვილიო. ბრალდებული ოსიტაშვილი ამტკიცებდა, რომ ხანჯალი გაბაშვილს ბარათაშვილმა დაჰკრაო. ტერ-შმოვანოვი: მე გულახდილად აღსარებასავით ალვიარებ, რომ გაბაშვილთან ოსიტაშვილი ჩხუბობდა. დავინახე თუ არა ოსიტაშვილის ხანჯალი, ბარათაშვილს ვუთხარ, თავს ვუშველოთ-მეთქი და ისიც, როგორც ჩემზედ პატარა და ახალგაზდა, დაჰყვა ჩემს გონიერს რჩევას და ორივენი გავშორდით მოჩხუბართ.

სასამართლო გავიდა საკითხების დასადგენად, ხოლო საღამოს $5^1/_2$ საათზედ შემდეგი განაჩენი დაადგინა:

დამნაშავედ იქმნან რა ცნობილნი თავადნი შიხი ტუსიშვილი და ბარათაშვილი და აგრეთვე აზნაური ოსიტაშვილი, რომ გაანჩხლებისა და გამწვავების დროს სამს ოქტომბერს 1898 წლისას, საღამოს 10 საათზედ, მოჰკლეს აზნაური დავით გაბაშვილი, ჩამოერთვათ ყოველივე უფლება და უპირატესობა და გაიგზავნონ კატორგაში ოთხ-ოთხის წლით; ხოლო ტერ-შმოვანოვი ცნობილ იქმნას იმის დამნაშავედ, რომ მან იცოდა ამ მკვლელობის ამბავი და მთავრობას არ აცნობა, რისათვისაც ექვსის თვით ციხეში დაპატიმრება მიესაჯოს ღირსებათა ჩამოურთმევლად, პირველ სამს ბრალდებულს გარდახდეს 108 მან. გაბაშვილის ქირისუფლების სასარგებლოდ, დანარჩენ ნაწილში სამოქალაქო მოდავეთ უარი ეთქვათ. დასაბუთებული განაჩენი 9 მარტს იქმნება გამოცხადებულიო.

ამ განაჩენის წაკითხვისათანავე ბრალდებული ოსიტაშვილი ხმამაღლა ტირილსა და ღრიალს მოჰყვა და დიდხანს ვერ დააჩუმეს. ბრალდებულთა ნათესავ ქალთაგან რამდენსამეს გული წაუვიდა სასამართლოს დარბაზში. ბრალდებულმა ტერ-შმოვანოვმა სთხოვა სასამართლოს, რომ თავდებობით განმათავისუფლეთო. სასამართლომ დაადგინა, განათავისუფლოს იგი, თუ 300 მან. რაოდენობის თავდებობას წარადგენს.

სასამართლოს დარბაზი ხალხით იყო სავსე. მრავალნი ქუჩაზედ იდგნენ და იქ ელოდნენ განაჩენის ამბის შეტყობას. სასამართლოში საქმის წარმოების შემდეგ ხალხმა მთელი ქუჩა აავსო და არ დაშლილა იმ დრომდე, ვიდრე პატიმრები ეტლებით საპატიმროშივე არ წაიყვანეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გაზეთები სწერენ, რომ ტურინში ვიღაც ბოროტმა კაცმა განიზრახა სახელოვანის პროფესორის ლომბროზოს მოკვლა. ვიღაც უცნობმა კაცმა რევოლვერი ესროლა ლომბროზოს კაბინეტის ფანჯარას. ტყვიამ ვერავის დაუშავა ვერაფერი, რადგანაც იმ დროს ოთახში არავინ ყოფილა.

***

ბისმარკის ტვინი ასწონეს და აღმოჩნდა, რომ 1807 გრამი *) აიწონა. ორთა შუა რიცხვით ევროპიელ კაცის ტვინის წონა არის 1350—1400 გრამი. აშკარაა, რომ ბისმარკის ტვინის წონა მეტი ყოფილა ამ ორთა შუა რიცხვზე. სხვა დიდებულ და სახელოვან კაცების ტვინის წონა, რომ შევადაროთ ბისმარკის ტვინის წონა. ბისმარკს საპატიო ადგილი ერგება. დანტეს ტვინის წონა იყო 1470 გრამი. შილერისა—1596 გრამი, კონტისა—1624 გრამი, ბაირონისა—1792, ხოლო კიუვეს ტვინის წონა-კი 1828 გრამი. ამგვარად სჩანს, რომ ბისმარკის ტვინის წონაზე მეტი წონა ჰქონია მხოლოდ ერთის მეცნიერის კიუვეს ტვინს. რაღა თქმა უნდა, ბისმარკმა არ იცოდა, რომ იმისი ტვინი ასე ბევრს აიწონდა, თორემ, ეჭვი არ არის, უფრო თამამად მოიქცეოდა ხოლმე და არაფერს დაერიდებოდა, რომ ყველა საქმეში თავისი გაეყვანა.

***

ერთს ფრანგულს ჟურნალში დაბეჭდილია წერილი მკურნალის ლევისა, რომელიც ამტკიცებს, რომ ბავშვებისათვის ძლიერ მავნებელია სათვალეებიო. ამ მკურნალის აზრით, სათვალე ბავშვის თვალს უფრო ვნებას მოუტანს, ვიდრე სარგებლობასა, რადგანაც შესაძლებელია ბავშვს თვალები თან-და-თან გაუსწორდეს და თვალის ჩინი მოემატოს, თუ სათვალეებს არ იხმარს, მაგრამ სათვალეების ხმარების დროს-კი თვალები აღარ გაუსადდება და თვალის ჩინი აღარ მოემატებაო. რა თქმა უნდა მკურნალები დიდს ყურადღებას მიაქცევენ ამ საგანს, გამოიკვლევენ საქმეებით და ყველა თავისს აზრს გამოაქვეყნებს.

***

ერთს გერმანულს ჟურნალში დაბეჭდილია ესპანიასა და შეერთებულ შტატებ შორის ომის დროს დაჭრილთა წერილები. აწერილებში ორი მეტად საყურადღებოა. ერთის წერილის ავტორია ამერიკელი კორესპონდენტი კრილშენი, რომელიც მაუზერის სისტემის თოფის ტყვიით იქმნა დაჭრილი. „პირველადაო, სწერს კრილშენი, ასე მეგონა, ვინმემ მუშტი შემომკრაო, მაგრამ ისე ძლიერად-კი არა, რომ დავვარდნილიყავი, მხოლოდ დავბარბაცდი, მაგრამ თავი შევიმაგრე. საოცარი ის არის, რომ სრულებით არ მიგვრძნია, რომ ტყვია მომხვდა, მხოლოდ მერე ვიგრძენ მკლავში ტკივილი და მკლავიც ჩამომეკიდა მათრახივით. თურმე ძვალი მქონდა დამტვრეული".

მეორე დაჭრილი ამერიკელი მარშალი სწერს. „უეცრად ვიგრძენ, თითქოს ვიღაცამ შემომკრა ზურგში, მაგრამ ძლიერად-კი არა, თითქოს მხოლოდ ხელი მკრაო. ტკივილი-კი არ მიგრძვნია. იმ წამსვე ძირს დავეცი და ძლიერ მიკვირდა, რომ ფეხზედ ვერ წამოვდექი. სანიტარებმა მიპოვნეს და ჭრილობა შემიხვიეს. მერე მოვიდა მკურნალი, გამსინჯა და მითხრა, ჭრილობა საშიშია და მხოლოდ რამდენსამე წუთს თუ იცოცხლებო. მერე აღარაფერი მახსოვს, გული წამივიდა და გონს რომ მოვედი, ვნახე, რომ სხვა დაჭრილებთან ერთად ჩრდილში ვიწექი. მკურნალმა რომ მითხრა აღარ მორჩები და მხოლოდ რამდენსამე წუთს იცოცხლებო, ამ სიტყვებს სრულებით არ უმოქმედნია ჩემზედ. ტკივილს სრულებით არა ვგრძნობდი. მხოლოდ ცოტა ხანს შემდეგ, როცა სრულიად გონს მოვედი, დიდი ტკივილი ვიგრძენ და მას შემდეგ დაიწყო ჩემი ტანჯვა. საბედნიეროდ მკურნალი შესცდა და დიდის ხნის ავადმყოფობის შემდეგ სიკვდილს მაინც გადვურჩი.

*) გრამი უდრის ერთის კუბიკურის სანტიმეტრის წყლის წონას. წყლის ტემპერატურა უნდა იყოს +40° ცელ. ტერმომეტრით.

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო რუსული წიგნი „Разведеніе Маслины" (ზეთის ხილის გაშენება), თხზ. ა. ხ. როლლოვისა. ეს წიგნი მეტად საყურადღებო და სასარგებლოა, განსაკუთრებით ჩვენ მემამულეთა და სოფლის მცხოვრებთათვის. წიგნში დაწვრილებით აწერილია ზეთის ხილის მოყვანა-მოშენება, რანაირი ნიადაგია საჭირო ამ მცენარისათვის, როგორი მოვლა-პატრონობა უნდა, სად არის იგი გავრცელებული, რა ჰკნებს და სხვა. შეიძლება ბევრმა არც-კი იცოდეს, რომ ზეთის ხილის ხე მეტად სასარგებლო და შემოსავლიანი მცენარეა. ბევრს ქვეყანაში ეს მცენარე მკვიდრთა ცხოვრების უმთავრეს სახსარს შეადგენს. ამიტომ დიდად სასურველია, რომ იგი ჩვენს ქვეყანაშიაც გავრცელებულ იქმნას. უკვე გამოკვლეულია, რომ ჩვენში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, შავის ზღვის ნაპირებზედ ზეთის ხილი საუკეთესოდ ჰხეირობს. მით უმეტეს სასურველია ამ მცენარის გავრცელება, რომ ამ ბოლოს დროს ვაზს ათასი სენი და ავადმყოფობა გაუჩნდა და იმ შემოსავალის მეხუთედსაც აღარ იძლევა, რასაც წინად იძლეოდა. ამის გამო ისეთის წიგნების გამოცემა, სადაც დაწვრილებით არის აწერილი რომელისამე სასარგებლო მცენარის მოვლა-მოშენება, ბევრს სარგებლობას მოუტანს მცხოვრებლებს. საუბედუროდ, ხსენებული წიგნი მხოლოდ რუსულს ენაზედ არის გამოცემული და ბევრს ქართველს დახმარებას ვერ გაუწევს. ამიტომ დიდად საჭიროა ეს წიგნი ქართულადაც გადმოითარგმნოს.

წიგნი მშვენიერს ქაღალდზეა დაბეჭდილი, კარგად არის გამოცემული და შეიცავს 64 გვერდს.

## დეპეშა

22 თებერვალი

**პეტერბურგი.** 22 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორი ბძანდებოდა პავლეს სამხედრო სასწავლებელში.

22 თებერვალს ხელმწიფე იმპერატრიცა ბძანდებოდა ელისაბედის ინსტიტუტში.

გუშინ მცოდნე საქმეთა თანადასწრებით გამოსცადეს ახლად გამოგონილი ნივთიერება „ურალიტი". ურალიტი შემოახვიეს ხის ფარდულს და მერე ცეცხლი წაუკიდეს. ფარდული ერთის საათის განმავლობაში ცეცხლში იყო, მაგრამ არ დაშავდა.

**პეკინი.** თუმცა მოსალოდნელი იყო, რომ ჩინეთის მთავრობა არ შეიწყნარებს იტალიის თხოვნას სანმუნის ნავთ-სადგურის შესახებ, მაგრამ დეპეშის უკან დაბრუნება-კი ჩვეულების წინააღმდეგ საქციელად არის მიჩნეული. აქ ელოდებიან იტალიის სამს სამხედრო გემს. გემი „მარკო პოლო" შანჰაიში სდგას. ამ გემის უფროსი ტინძინში მივიდა, იქვე წავიდა მოსალაპარაკებლად მარტინოც.

**ვენა.** ჩეხიის გლეხთა წლიურ კრებამ ერთხმად გადასწყვიტა: გამოვუცხადოთ რუსეთის ხელმწიფე იმპერატორს ჩვენი მადლობა მშვიდობიანობის დამყარების სურვილისათვის და მოვახსენოთ, რომ ვეცდებით რაც შეგვეძლება იმ დიდს საქმეს დავეხმაროთ, რომელიც განიზრახა მისმა უდიდებულესობამ.

**მადრიდი.** ტყუილია ის ხმები, ვითომ აგიტაცია სადმე იყოს კარლოსის სასარგებლოდ. ისიც ტყუილია, ვითომ ესპანიის ჯარიდგან გაქცეული 2000 კაცი შეიკრიბა საფრანგეთის საზღვარზედ და მზად არიან კარლოსს დაეხმარნენ.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატა. ალლარი თხოულობს 200,000 ფრანკი გადავდოთ იმათთვის, ვინც დაზარებულ იქმნა ტულონში მომხდარ აფეთქებისაგანაო. დიუპუი მიემხრაო ამ თხოვნას, რომელიც გადაეცა საბიუჯეტო კომისიას.

დელკასემ სთქვა, რომ 1862 წელს საფრანგეთისა და ინგლისის შორის შეკრულ კონვენციის ძალით საფრანგეთს მასკატში ისეთივე საწყობი უნდა ჰქონდეს ნახშირისა, როგორიც ინგლისსა აქვსო. ინგლისმა შეიწყნარა საფრანგეთის უფლებაო. პალატა შეუდგა ახალშენების ბიუჯეტის განხილვას.

23 თებერვალი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ჰბრძანა, რომ ხელის-მოწერა გაიმართოს ყველგან შეწირულებათა შესაკრებად, რათა ვილნაში ძეგლი დაედგას იმპერატრიცა ეკატერინეს.

**პარიჟი.** საკასსაციო სასამართლოს ყველა პალატათა საზოგადო კრებაზედ, რომელიც მაზოს თავმჯდომარეობით შესდგა, დრეიფუსის საქმის გადასინჯვის შესახების მოხსენებ[ის] მომხსენებლად დაჰნიშნა სამოქალაქ[ო] პალატის პრეზიდენტი ბალლ-ბოპრ[ე]. დაბეჯითებით ამბობენ, რომ საჯ[ა]როდ განხილვას საქმისას 29 მარ[ტ]ზედ ადრე არ შეუდგებიანო.

**მადრიდი.** სენატი ალმენა[ს] სცდილობს ლაპარაკს, მაგრამ ხმაურობა უშლის. სილველამ წაიკით[ხა] ბრძანება პალატის დახურვის შესახებ. ზოგიერთმა ლიბერალმა სენატორებ[მა] დაიწყეს ძახილი: „თავისუფლებ[ას] გაუმარჯოსო!" ალმენასმა შესძახ[ა] „ფლოტს გაუმარჯოსო!" კრება დი[დ]დის მღელვარების დროს დაბოლოვ[და].

პალატა. რესპუბლიკელმა იბანეს[მა] სთქვა: „რადგან სამხედრო მინისტრ[მა] გუშინ წირვა შეუკვეთა, რომელსა[ც] თითონ და სხვა-და-სხვა განყოფილებათა უფროსები დაესწრნენ,— ჩემის აზრით კარგს იზამს პალატა, რომ კრება ლოცვის წაკითხვით დაიწყოს" (სიცილი გაისმის). რესპუბლიკელმა აზკარატემ განაცხად[ა], რომ უნდა განსჯილ იქმნას ის საქმ[ე], თუ რითი დაბოლოვდეს კრიზისიო. მდივანმა წაიკითხა ბრძანება ახალი[ს] სამინისტროს დანიშვნის შესახებ. პალატის პრეზიდენტმა წაიკითხ[ა] ბრძანება პალატის დათხოვნის შესახებ. იბანესმა დაიძახა: „შორს ჩვენგან იეზუიტნიო!" მეორენი ჰყვიროდნენ: „თავისუფლებას გაუმარჯოსო!" (ხმაურობაა).

**პეკინი.** იტალიის ელჩმა უარი განაცხადა, პირდაპირ ცზუნგ-ლიიამენთან არ მინდა მოლაპარაკების განგრძობა, რადგან როდესაც იტალიის მოთხოვნილებანი უარ-ჰყო, იგი მეტად არა დიპლომატიურად და უზრდელად ჰქოქმედობდაო. ელჩი დღესა ჰბრუნდება ტიანძინიდგან.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუძღვნით იმათ, რომელთაც ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინეს ახალ-სენაკის საეკკლესიო სამრევლო დედათა სკოლას, სახელდობრ:

ალ. ალ—შვილს, შემოსწირა 50 კ, მღვდელს იოანე ბობოხიძეს 20 მ., მღვდელს დიმიტრი ბერულავას—50 კ., მღვდელს ფილიმონ შომახიას—1 მ., მღვდელს ილია ბაბილუას—1 მ., აზნაურს ერასტო კუტელიას—1 მ., ვაჭარს ივანე მარკოზის ძე ხუნწარიას, რომელმაც შემოწირა ზარა, ღირებული 10 მ., პარმენ გიორგის ძე ჯავროვს ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი" 1899 წლისა, ღირებული 5 მ., ანასტასია ოქროპირის ასულს გოგოლაშვილისას—ლატარიაში სათამაშებლად მის მიერ შეკრებილი სხვა-და-სხვა ნივთები, ღირებული 25 მ. და პავლე ივანეს ძე ქავთარაძეს—ნიშნების დასაწერი ბილეთები, ღირებული 3 მ. და ფულად—9 მ.

სკოლის მმართველი ბლაღოჩინი მღვდელი არისტ. კალანდარიშვილი
მასწავლებელი ან. ვ. ასული ლომინაძე


თესლეულობათა დეპო
გ. გ. ლარშესი
(არსებობს 1872 წლიდგან)
მადათოვის კუნძულზედ, მაღაზია № 47.
მიღებულია ახალი თესლეულობა
საბოსტნე, სხვა-და-სხვა ყვავილებისა და ბალახეულობათა. პრეისკურანტი მსურველს უსასყიდლოთ გაეგზავნება. (10—22—5)


Дозволено цензурою, Тифлисъ 23-го Февраля 1899 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე